ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 38

26.12.2019
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 26 დეკემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი)

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (10.12.2019, 12-0319344108-03)* (**მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე** *ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი);*

სხდომა წარიმართა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, განათლებისა და კულტურის და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ოთარ გრიგოლია.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2020 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტი - საკრებულოს წევრებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 1 021 400.6 ათასი ლარით, რაც წინა წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტზე 93 769.1 ათასი ლარით მეტია. 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები გახლავთ: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა 121 731.1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება 269 356.9 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 111 348.1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 7 127.5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 38 296.3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 151 695.8 ათასი ლარი; განათლება 168 811.0 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 41 835.6 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 6 601.2 ათასი ლარი; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 104 597.1 ათასი ლარი.

რაც შეეხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლებს, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 980 969.9 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის გადასახადები 687 009.5 ათასი ლარი, კერძოდ კი: დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 482 009.5 ათას ლარს, საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 170 000,0 ათასი ლარს; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარს; მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარს; ხოლო სხვა შემოსავლები 202 997,4 ათასი ლარს, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 8 600,0 ათასი ლარს; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარს; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარს; სანქციები (ჯარიმები და საურავები) 51 000,0 ათასი ლარს; სხვადასხვა შემოსავლები – 25 397,4 ათასი ლარს.

საკრებულოს მიერ მოწოდებული შენიშვნების ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულია აღნიშნული ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში, რაც შეეხება თანხების მატებასთან დაკავშირებულ წინადადებებს კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ წლის განმავლობაში მოხდება ბიუჯეტის კორექტირება და ის პროგრამები გაიზრდება, რაზეც საუბარი იყო საკრებულოს რეკომენდაციებსა და შენიშვნებში.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მისასალმებელია, კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების და წინადადებების გათვალისწინება 2020 წლის ბიუჯეტის საბოლოო პროექტში. უნდა ითქვას, რომ სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები ქალაქში მაღალი ტემპით ხორციელდება. წარმოდგენილ ბიუჯეტის დამუშავებულ პროექტში, გაზიარებულია კომისიის რეკომენდაცია დამატებით მცირე მულტიფუნქციური სპორტული ცენტრისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების თაობაზე.

კომისიის წევრები აქტიურად ვმუშაობთ იმასთან დაკავშირებით, რომ მაქსიმალურად ავამაღლოთ ხარისხი თუნდაც საუბნო მინი-სტადიონების მოწყობის მიმართულებით, ასევე წლის განმავლობაში ვიმსჯელებთ მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის გაზრდასთან დაკავშირებით. მართლაც, შთამბეჭდავი ბიუჯეტია და კომისია მზადაა ყველა პროექტისა და პროგრამის მაღალ დონეზე შესრულების მიმართულებით აქტიურად ჩაერთოს. ჩვენ მხარს ვუჭერთ აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე,დავით რურუა - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გიორგი ჩაკვეტაძე